სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

27 მაისი, 2025 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 01-02/103

ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ ლელა დევაძის სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის თარიღის დანიშვნისა და დარგობრივი სადისერტაციო კომისიის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 27 დეკემბრის №06-01/29 დადგენილების, „ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულების“ (ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 13 თებერვლის №01-06/16 დადგენილება), ლელა დევაძის დოქტორანტურაში ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 13 ოქტომბრის №01-08/513 ბრძანების, „ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ზოგიერთი დოქტორანტისთვის სწავლის ვადის გაგრძელების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2023 წლის 21 ივლისის №06-01/79 დადგენილების, „ბსუ-ს ზოგიერთი დოქტორანტისათვის სწავლის ვადის გაგრძელების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 16 ივლისის №06-01/49 დადგენილების, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების (ოქმი №21-20/04, 20.05.2025) და ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სამსახურებრივი ბარათის (MES 563138, 22.05.2025) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ **ლელა დევაძის** სადისერტაციო ნაშრომის **„ინოვაციური ბიზნეს პროექტების მართვის თავისებურებები საქართველოში და გლობალიზაციის გამოწვევები“** საჯარო დაცვა დაინიშნოს 2025 წლის 20 ივნისს 12:00 საათზე, 423-ე აუდიტორიაში (ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. №35/32, კორპუსი N2, მე-4 სართული).
2. დამტკიცდეს ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი **„ბიზნესის ადმინისტრირების“** დარგობრივი **სადისერტაციო კომისია** შემდეგი შემადგენლობით:
   2.1. ნათელა წიკლაშვილი - ბსუ-ს პროფესორი **(კომისიის თავმჯდომარე);**
   2.2. ლეილა ცეცხლაძე - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი **(მდივანი);**

2.3. ვაჟა ვერულიძე - ბსუ-ს პროფესორი;
2.4. პაატა ჩაგანავა - ბსუ-ს პროფესორი;
2.5. გიორგი აბუსელიძე - ბსუ-ს პროფესორი;
2.6. ირაკლი კორძაია – ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;
2.7. რამინ ცინარიძე - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;
2.8. დარეჯან ჩხუბაძე - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;
2.9. ეკატერინე შაინიძე - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;
2.10. ია მესხიძე - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;
2.11. ლელა ონიანი -ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი.

3. ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის ოფისმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების დოქტორანტისათვის გაგზავნა და მის პირად საქმეში განთავსება.
4. ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივანმა უზრუნველყოს დოქტორანტისა და შესაბამისი სადისერტაციო კომისიის წევრების ინფორმირება საჯარო დაცვის თარიღისა და განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.
5. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
6. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (პროფ. მ. ხალვაში), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს (პროფესორი რ. მანველიძე) და საბჭოს მდივანს (ასოცირებული პროფესორი ლ. ცეცხლაძე), საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. 130).

ბსუ-ს რექტორი ტიტე არაშიძე